

საქართველოში, გლობალური ფონდის მეთაღონის ჩანაცვლებითი
თერაპიის პროგრამებში არსებული სამედიცინო და ფსიქო-
სოციალური რეაბილიტაციის სერვისების კვლევა

ბაჩანა ხუციშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბაჩანა ხუციშვილი

26.06.2017

მადლობა

მადლობას ვუხდით ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ლექტორებს, განსაკუთრებით კი წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქ-ნ ირმა კირთაძეს, კვლევის პროცესში გაწეული მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის.

სქოლიო

მჩთ - მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპია

ოჩთ - ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია

ნიმ - ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

ICD-10 - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაავადებათა კლასიფიკაციის მეათე გადახედა

აბსტრაქტი

მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპია მსოფლიოში აღიარებული მეთოდია ოპიოიდებზე დამოკიდებულების სამკურნალოდ. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ჩანაცვლებითი თერაპიის ეფექტურობა იზრდება, თუ მას თან ერთვის დამატებითი სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მეთადონის პროგრამა მიმდინარეობდეს ზიანის შემცირების პრინციპებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების სრული დაცვით.

მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა საქართველოში 2005 წელს დაიწყო და მას შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. 2014 წელს პროგრამით ისარგებლა 3968 ადამიანმა, ხოლო 2015 წელს ეს რაოდენობა 4453-მდე გაიზარდა. პაციენტების ზრდასთან ერთად პროგრამა განვითარებას საჭიროებს სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მხრივ, რადგანაც მნიშვნელოვანია მიღწეული შედეგის რეაბილიტაციით გამყარება და მისი შენარჩუნება.

ნაშრომის მიზანი იყო შეეფასებინა საქართველოში გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამები სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კუთხით, როგორც სამოქალაქო სექტორში, ისე პენიტენციურ სისტემაში.

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ ფოკუსური ჯგუფები, რომელიც ჩატარდა საქართველოს სამ ქალაქში: თბილისში, ბათუმში და გორში. ჯამში 10 ფოკუსური ჯგუფი, საიდანაც 6 დაკომპლექტებული იყო სამოქალაქო სექტორისა და პენიტენციური სისტემის მხრე პროგრამების ყოფილი და მოქმედი პაციენტებით, ხოლო 4 კი ამავე პროგრამებში მომუშავე მედპერსონალით. კვლევა ჩატარდა 2017 წლის თებერვალი-მაისის პერიოდში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მეთადონის პროგრამა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს წამალდამოკიდებული პირის როგორც ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ასევე სოციალურ მდგომარეობას. თუმცა მით პროგრამაში არსებული წესები პაციენტის კლინიკაში ყოველდღიურად გამოცხადებისა და პრეპარატის კლინიკიდან გატანის აკრძალვის შესახებ, ხელს უშლის პაციენტების სრულფასოვან რეინტეგრაციას საზოგადოებაში, რადგანაც ამ წესების შესრულება პაციენტებისგან დიდ ძალისხმევას, ბევრ დროს და მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვს. კვლევამ გამოავლინა პროგრამის ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების და მათი სამუშაოს პაციენტებზე უფრო მეტად მორგების საჭიროება, ასევე პროგრამის ექიმების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობა როგორც სამოქალაქო სექტორის, ისე პენიტენციური სისტემის პროგრამებში. გარდა ამისა, გამოიკვეთა მით კლინიკების სტანდარტული სამუშაო დროის სიმცირის პრობლემაც. აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ სისტემაში არსებული დეტოქსიკაციის პროგრამა, ხშირ შემთხვევაში, იძულებით ხასიათს ატარებს და უფრო მცირე პერიოდით გრძელდება, ვიდრე ამის საჭიროება არსებობს.

კვლევის შედეგების ინტერპრეტირების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც საჭიროა ჩამანაცვლებელ პრეპარატზე ხელმისაწვდომობის ამაღლება, გადახედვას საჭიროებს მით პაციენტებისთვის ჩამანაცვლებელი პროდუქტის კლინიკიდან გატანის უფლების მინიჭებისა და პაციენტის ყოველდღიურად კლინიკაში გამოცხადების საკითხები. საჭიროა დაიწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია მით პროგრამაზე და მოხდეს მით კლინიკებში პირველადი ჯანდაცვის სერვისების ინტეგრირების შესაძლებლობების განხილვა. შემუშავდეს მეთადონის პროგრამებში მომუშავე ექიმების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლების მოდული მათი პროფესიული განვითარებისთვის. ასევე საჭიროა, რომ გაიზარდოს მით კლინიკების სამუშაო დროის ხანგრძლივობა

და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით დეტოქსიკაციის პერიოდი. სასურველია თანამედროვე, ქალაქარეთ მოქმედი იზოლირებული სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა ნარკომომხმარებელთათვის. აუცილებელია, რომ პენიტენციურ სისტემაში დაინერგოს მეთადონის ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი თერაპია და მთ პროგრამის ბაზაზე შეიქმნას მულტიდისციპლინური გუნდი ფსიქოლოგის ჩართულობით. სასურველია გაიზარდოს მთ პროგრამის ექიმების რაოდენობა.

Abstract

Methadone substitution therapy is worldwide recognized method of treating opioids addiction. According to international practice, the efficiency of the substitution therapy increases if it is accompanied by additional medical and psycho-social rehabilitation services. In addition, it is important that the methadone program is implemented in full compliance with the principles of harm reduction and the human rights recognized universally.

Methadone substitution therapy program started in Georgia in 2005 and has since been implemented continuously. In 2014, 3968 people benefited from the program, while in 2015 this number increased to 4453. With the increase in the number of patients, the program needs to develop medical and psycho-social rehabilitation, due to the fact that, the result achieved should be strengthened and maintained by rehabilitation.

The aim of this master's thesis was to assess the methadone substitution therapy programs' medical and psycho-social rehabilitation, both in the civil sector and in the penitentiary system, which is funded by the Global Fund in Georgia.

Qualitative research method was used to conduct the research. Particularly focus groups which were conducted in three cities of Georgia: Tbilisi, Batumi and Gori. 10 focus

groups in total, 6 of which consisted of former and existing patients of Methadone substitution therapy programs of the civil sector and penitentiary system. While 4 focus groups consisted of medical staff of the same programs. The research was conducted in February-May 2017.

The research revealed that methadone program significantly improves physical and mental health as well as social condition of a person who is addicted to drugs. Although, the rules of the MST program such as having to visit the clinic on a daily basis and prohibition of taking the drug outside of the clinic, prevents full reintegration of patients into the society, because these rules require a lot of effort from the patients, much time and important financial resources. The research revealed the need to raise the qualification of program's psychologists and social workers and to adjust their work to their patients more. It also revealed that there is a necessity to increase a number of program's doctors in the civil sector as well as in the penitentiary system's programs. Also the standard working hours are short in MST clinics. The detoxification program existing in the penitentiary system is often compulsory and lasts for a shorter period than needed.

The recommendations have been developed as a result of interpretation of the results of the research. According to them it is necessary to increase the availability of the substituting drug; the right of the MST patients to take the substitution product outside the clinic needs to be reviewed as well as daily visits to the clinic. It is necessary to discuss the possibilities of integrating primary healthcare services in MST clinics. Working hours should be increased at MST clinics as well as the period of detoxification with the substituting pharmaceutical product.

It is necessary to introduce methadone substitution maintenance therapy in the penitentiary system and form a multidisciplinary group on the base of the MST program with the engagement of a psychologist. It is desired that a number of doctors in MST program is increased.